დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დებულება აწესრიგებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) სტუდენტებისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.
2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შედგება უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან, აგრეთვე უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან, რომლებიც შეირჩევიან უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №117/2018 დადგენილების, უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საბჭოების მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად.
3. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრებად შეიძლება შევიდნენ შესაბამისი დარგის წარმომადგენლები/სპეციალობის მქონე პირები საქართველოდან და უცხოეთიდან, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.
4. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებისას საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის/შედიან პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ის მიერ შერჩეული შესაბამისი დარგის

წარმომადგენელ(ებ)ი/სპეციალობის მქონე პირ(ებ)ი, თუ აღნიშნული განისაზღვრება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმებით. (18.03.2024, №40/2024)

მუხლი 3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება (27.12.2018, №244/2018)

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო:

ა) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას, რომლითაც განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი, აგრეთვე დისერტაციის დაცვის პროცედურა. სადისერტაციო საბჭოს დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;

ბ) ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მუშაობის რეგლამენტს;

გ) ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოს მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეს;

დ) ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებას თითოეული სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შექმნის თაობაზე, წარდგინების მიღებიდან არაუმეტეს 45 სამუშაო დღის ვადაში. (18.03.2024, №40/2024)

ე) იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომზე აკადემიური ეთიკის დარღვევის არსებობის შემთხვევაში მინიჭებული აკადემიური ხარისხის საფუძვლიანობის შემოწმების თაობაზე (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება, პლაგიატი ან სადისერტაციო საქმისწარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა და სხვ.);

ვ) ამტკიცებს დისერტაციის დაცვის განსხვავებულ რეგლამენტს იმ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ უნივერსიტეტისა და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი;

ზ) ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას, რომელსაც შეიმუშავებს ფაკულტეტი;

თ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) საფუძველზე ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, სემესტრში, სულ მცირე, ოთხჯერ მაინც.

მუხლი 4. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტი.

3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით 2 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს უხუცესი წევრი.

4. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს (ორივეს საბჭოს შემადგენლობიდან) 2 წლის ვადით.

5. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში საბჭოს უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.

6. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. საჭიროების შემთხვევაში სხდომის მოწვევა შესაძლებელია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების, სულ მცირე, 1/3-ის ან ფაკულტეტის დეკანის მოთხოვნით. (27.12.2018, №244/2018)

7. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. ოქმი ქვეყნდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უნივერსიტეტის ვებგვერდზე. (18.03.2024, №40/2024)

8. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. (27.12.2018, №244/2018)

9. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო იხილავს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დადებით გადაწყვეტილებას (შეფასებას), ინფორმაციას დაცვის პროცედურების შესახებ და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების ან უარი თქმის შესახებ. (27.12.2018, №244/2018)

10. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია დოქტორის აკადემიური ხარისხი მიანიჭოს შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დადებითი გადაწყვეტილების (შეფასების) საფუძველზე.

11. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ეხმარება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევებში უძღვება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომას.

12. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს შესაბამისი საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას:

ა) აწარმოებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ოქმებს;

ბ) ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;

გ) ხელმძღვანელობს საბჭოს საქმის წარმოებას;

დ) ამოღებულია. (27.12.2018, №244/2018)

13. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატი.

14. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატი.

15. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატს ხელმძღვანელობს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

16. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებით.

მუხლი 5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია (27.12.2018, №244/2018)

1. თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შედგება შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორებისაგან ან/და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო მიმართულებაში/დარგში/სპეციალობაში.

2^1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს და დოქტორანტს/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის არ შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი.

ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს კანონი - ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილითა და 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა. (18.03.2024, №40/2024)

3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების/დარგის წარმომადგენელი/სპეციალობის მქონე პირი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები, დისერტაციის დადებითად რეცენზირების შემთხვევაში, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში ეცნობიან შესაბამისი ფაკულტეტის მიერ გადაცემულ სადისერტაციო ნაშრომს.

5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.

6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 7 წევრისგან.

მუხლი 6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილება

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს;

ბ) შეარჩევს დაცვის თარიღს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ჩატარებას;

დ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით აფასებს სადისერტაციო ნაშრომს.

მუხლი 7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მუშაობის წესი

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის საქმიანობა წარიმართება წინამდებარე დებულების შესაბამისად.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი უზრუნველყოფს შესაბამისი კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას: (27.12.2018, №244/2018)

ა) აწარმოებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმს;

ბ) ეხმარება კომისიის თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;

გ) ხელმძღვანელობს კომისიის საქმისწარმოებას;

დ) უზრუნველყოფს დაცვის კომისიის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის მიწოდებას ფაკულტეტისათვის.

მუხლი 8. დისერტაციის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით: (27.12.2018, №244/2018)

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - მაქსიმალური შეფასების 41 – 50 ქულა. (18.03.2024, №40/2024)

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

2. ამ მუხლის ,,ა”-,,ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის ვადაში წარდგენის უფლება. ამ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა შეფასებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში და ასევე განთავსდება შესაბამის ელექტრონულ სივრცეში, PDF ფორმატის სახით (სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი; დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია; დოქტორანტის განაცხადი; დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს

შემაჯამებელი ანგარიში; სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა; ცნობა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე; გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია; სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი 2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის; რეცენზენტების დასკვნები (რეცენზიები); სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმი). (27.12.2018, №244/2018)

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომამდე, რომელზედაც დასმული იქნება საკითხი ამ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცების თაობაზე, უნდა ინახებოდეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატში და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრისთვის. (27.12.2018, №244/2018)

მუხლი 9. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება (27.12.2018, №244/2018)

1. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PhD) ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას) განიხილავს მიღებიდან არაუმეტეს 45 სამუშაო დღის ვადაში.

2[1]. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრი ვალდებულია, საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს დოქტორანტთან/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს კანონი - ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილითა და 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას საბჭოს წევრი არ მონაწილეობს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და კენჭისყრის პროცესებში. საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს დაინტერესებული მხარის (დოქტორანტის/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის) პოზიცია. (18.03.2024, №40/2024)

3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი და თუ აკადემიური ხარისხის მინიჭებას ხმა მისცა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტმა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობაში არ ჩაითვლება საბჭოს ის წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება. თითოეული

დოქტორანტის მიმართ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას კენჭისყრა უნდა იყოს ღია. (18.03.2024, №40/2024)

4. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სხდომას ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ან/და სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის ერთი წევრი მაინც, რომელიც დამსწრეებს ინფორმაციას აწვდის დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. (18.03.2024, №40/2024)

5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო ვალდებულია თავისი წერილობითი დასაბუთება წარუდგინოს ფაკულტეტს გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი და გადაწყვეტილებას ხმა მისცა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტმა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობაში არ ჩაითვლება საბჭოს ის წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება. (18.03.2024, №40/2024)

6. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცედურის ამსახველი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია, ინახება შესაბამის ფაკულტეტზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში და შემდეგ გადაეცემა თსუ-ს არქივს.

მუხლი 10. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი
(18.03.2024, №40/2024)

1. დოქტორის აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორის, ფაკულტეტის დეკანისა და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.

2. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ერთობლივად მინიჭებულ დოქტორის აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირებისა, ადასტურებს ასევე პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ის (უფლებამოსილი პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.

3. დიპლომის გაცემამდე უნივერსიტეტის მიერ შეიძლება გაიცეს ცნობა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ კურსდამთავრებულის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში.

მუხლი 11. დისერტაციის გამოქვეყნება (27.12.2018, №244/2018)

ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას; ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

მუხლი 12. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია

წინამდებარე დებულებით ფაკულტეტის საბჭოსათვის გათვალისწინებული უფლებამოსილებები ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის მიერ, გარდა ამ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებისა.

მუხლი 13. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა (27.12.2018, №244/2018)

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო, რომელსაც უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.